ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4321861

ნომერი: AR1651766

თარიღი : 23.12.2018

გაცემის თარიღი : 27.12.2018

გაცნობის თარიღი : 08.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N15ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია პატარაია პ/ნ 61001087885
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნას დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედის ფიქსაციით, ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათები.

- გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი მინდობილობა არ ითვალისწინეს მარწმუნებლის წარმომადგენლობას არქიტექტურის სამსახურში ასევე მინდობილი პირებს არ აქვთ ცალ-ცალკე დამოუკიდებლად წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული, აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს განახლებული მინდობილობა სათანადო წესით დამოწმებული, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ასევე თუ განსახორციელებელი სამუშაოებით ეხება სხვის სარგებლობაში არსებულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს ასეთი პირების სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები. სხვა შემთხვევაში განიმარტოს ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.